



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #010/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თორნიკე ეზიეშვილი (სტუდენტი)

შეკითხვა:

საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 7 დეკემბრის N267/04 ბრძანების საფუძველზე, გახსნილი მაქვს ადვოკატის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში. აღნიშნული ანგარიშის გამოყენებითა და მასზე ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების დროს, რა პროფესიული ეთიკური ფარგლები გააჩნია ადვოკატს და რით არის აღნიშნული ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ან სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გამოყენება რეგულირებული? ნომინალური მფლობელობის ერთობლივი და სეგრეგირებული საბანკო ანგარიშის გამოყენების დროს რა წინაპიორბები უნდა დაიცვას ადვოკატმა რათა არ დაირღვეს პროფესიული ეთიკის კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა?

სამართლებრივი შეფასება:

აპკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის მიერ მინდობილი თანხები ცალკე აღრიცხოს. აღნიშნული ვალდებულება შეესაბამება ადვოკატთა საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს. მსჯელობისას ეთიკის კომისიამ გამოიყენა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 28.01.2015 წლის Nდს-შ/5-14 გადაწყვეტილება და ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე #098/17. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ნომინალურ ანგარიშზე განთავსებული თანხის განკარგვის საკითხს წყვეტს ადვოკატი კლიენტთან შეთანხმებით. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე განსათავსებელი თანხა არ არის კავშირში ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული მომსახურების საზღაურის განკარგვასთან. ადვოკატი უფლებამოსილია მიიღოს ფულადი თანხა ხელშეკრულებაში მითითებული დავალების შესრულების მიზნით. ფული უნდა შეიტანოს ნომინალურ ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ადვოკატი უფლებამოსილია მიიღოს ფულადი თანხა ხელშეკრულებაში მითითებული დავალების შესრულების მიზნით. ფული უნდა შეიტანოს ნომინალურ ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ადვოკატებისთვის გათვალისწინებულია ნომინალური მფლობელობის ორი ანგარიში: ერთობლივი ან სეგრეგირებული (ბრძანება, მუხლი 1(ტ,უ)). საკითხის რეგულირების მიზანს წარმოადგენს ადვოკატისა და კლიენტის ფინანსური ანგარიშების გამიჯვნა. ანუ თუ კლიენტი ადვოკატს სამართავად გადასცემს თავის კუთვნილ თანხებს, ადვოკატი ვალდებულია იგი განათავსოს ცალკე ანგარიშზე, თავისი პირადი ანგარიშებისგან დამოუკიდებლად. ერთობლივსა და სეგრეგირებულს შორის კი ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ერთობლივი ანგარიშის შემთხვევაში, შესაძლოა შეიქმნას ყველა მსგავსი კლიენტის ერთიანი ანგარიში, სეგრეგირებულის დროს კი ანგარიში იხსნება მხოლოდ ერთი კონკრეტული კლიენტისათვის. იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი მიიჩნევს, რომ თანხა უნდა მიიღოს ნომინალურ ანგარიშზე განსათავსებლად, პროფესიული სტანდარტების დაცვისთვის საჭიროა ადვოკატმა და კლიენტმა შეადგინონ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გარდა

¹ <https://www.gba.ge/pdf/5dcbe0a965ffc.pdf/rekomendacia%20010-19.pdf>

დავალების ხელშეკრულება, ფულადი სახსრების მიბარებისა და განკარგვის შესახებ, სადაც აღინიშნება: შედგენის ადგილი და თარიღი, ფულის გადამცემის სრული რეკვიზიტები, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, მიღების საფუძველი, მიმღები სუბიექტის რეკვიზიტები. თანხა ადვოკატისთვის კონკრეტული ვადით უნდა იყოს მიბარებული. ადვოკატმა ხელშეკრულების ასლი უნდა გადასცეს კლიენტს და თავისი ეგზემპლარი შეინახოს არქივში.

დასკვნა

შესაბამისად, ამჟამად საქართველოს საბანკო კანონმდებლობა და საბანკო მომსახურება უზრუნველყოფს ადვოკატთა საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკას პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და ადვოკატებს აქვთ საშუალება კლიენტის მინდობილი თანხები ცალკე ანგარიშზე აღრიცხონ. ამით ადვოკატი, ერთის მხრივ, ასრულებს პროფესიის რეგულირებისთვის მნიშვნელოვან სტანდარტს, მეორე მხრივ, უფრთხილდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესს, ვინაიდან კლიენტის თანხები, გამოსაყენებელი ტრანზაქციებისთვის ამ ფორმით ადვოკატთან დაცული იქნება. გარიგებებისთვის ადვოკატებისთვის ნომინალური მფლობელობის ანგარიშით სარგებლობა ხელს უწყობს ტრანზაქციების უსაფრთხოებას, სიმარტივეს. ასევე, მიღწევადია ის ლეგიტიმური მიზანიც, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია თავიდან იქნეს აცილებული.